სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-137 01.12.2022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის საკონკურსო კრიტერიუმებში ცვლილებების შეტანის შესახებ“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-5 პუნქტების, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების(ოქმი N8) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აკადემიური პერსონალისათვის საკონკურსო კრიტერიუმები, დანართი-1 მიხედვით.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სპორტის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 იანვრის (ოქმი N5) გადაწყვეტილება.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2023 წლის პირველი იანვრიიდან.
4. ბრძანება მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

რექტორი, პროფესორი **ჯემალ ძაგანია**

0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040

დანართი

საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისთვის

1. **გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში)**:**
   1.1. გამოქვეყნებული სტატია თუ იძებნება Scopus-ის მონაცემთა ბაზაში – თითო ასეთი სტატია – 30 ქ;

   შენიშვნა: საქართველოში გამოცემული რამოდენიმე საერთაშორისო ჟურნალიდან, ზემოაღნიშნულ ბაზაში შედის მხოლოდ ორი:
   (ა) მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე (ISSN - 0132-1447);
   (ბ) Georgian Medical News (ISSN - 1512-0112).

   1.2. სტატია თუ გამოქვეყნებულია საქართველოს ან საზღვარგარეთის რომელიმე საერთაშორისო ჟურნალში – თითო ასეთი სტატია – 20 ქ;
   1.3. სპორტის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციიის მასალებში გამოქვეყნებული სტატია - 15 ქ;
   1.4. რესპუბლიკური მასშტაბის ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია – 10 ქ.

2. **სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა** (ბოლო 5 წლის განმავლობაში):
   2.1. საქართველოში ან საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლად) – 15 ქ;
   2.2. სპორტის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლად) – 10 ქ;
   2.3. რესპუბლიკური მასშტაბის კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლად) – 5 ქ.

3. **გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები** (ISBN-ით), ბეჭდური ან ელექტრონული (ბოლო 10 წლის განმ-ში):
   3.1. შესაბამის დარგში გამოცემულ ყოველ წიგნზე (მინ. 200 გვ.) – 60 ქ;
   3.2. დამხმარე პროფილურ წიგნზე (მინ. 100 გვ.) – 30 ქ;
   3.3. პროფილური ბროშურა (მინ. 25 გვ.), თითოეულზე – 10 ქ.

4. **სამეცნიერო კრებულის/სახელმძღვანელოს რედაქტორობა/რეცენზირება** (ბოლო 10 წლის განმავლობაში):
   4.1. საერთაშორისო, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (თითოეულზე) – 20 ქ;
   4.2. ადგილობრივი, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (თითოეულზე) – 15 ქ;
   4.3. პროფილური სახელმძღვანელოს რედაქტორობა (თითოეულზე) – 10 ქ;
   4.4. პროფილური სახელმძღვანელოს რეცენზირება (თითოეულზე) – 6 ქ;
   4.5. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს რედაქტორობა (თითოეულზე) – 5 ქ.
   4.6. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს რეცენზირება (თითოეულზე) – 3 ქ.

5. **თარგმანები**, ბეჭდური ან ელექტრონული სახით (ბოლო 10 წლის განმავლობაში)**:**
   5.1. პროფილური სახელმძღვანელოს თარგმანი (მინ. 200 გვ.) – 30 ქ;
   5.2. პროფილური რიდერის შექმნა (მინ. 150 გვ.) – 25 ქ;
   5.3. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს თარგმანი (მინ. 60 გვ.) – 15 ქ.

6. **პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის, სტიპენდიის მიღება** (ბოლო 10 წლის განმ-ში):
   6.1. დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე – 30 ქ;
   6.2. დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე – 15 ქ.

7. **საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა** (ბოლო 10 წლის განმავლობაში)**:**
   7.1. დაცული სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 20;
   7.2. დაცული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 10 ქ;
   7.3. დაცული საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 5 ქ;
   7.4. ბაკალავრის ან მაგისტრანტის საკონფერენციო ნაშრომის ხელმძღვანელობა – 5 ქ.

8. **სამეცნიერო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა** (ბოლო 10 წლის განმავლობაში)**:**
   8.1. სამეცნიერო საბჭოს წევრობა (თოთოეულზე) – 10 ქ;
   8.2. სარედაქციო საბჭოს წევრობა (თოთოეულზე) – 5 ქ.

9. **საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება** (ბოლო 10 წლის განმავლობაში)**:**
   9.1. უცხოეთის უნივერსიტეტებში პროფესორთა მობილობის ფარგლებში ვიზიტი (თითოეულზე) – 30 ქ.

10. **საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებებში ტრენინგის ჩატარება (ბოლო 5 წლის განმავლობაში):**
   10.1. თითოეული ასეთი ჩატარებული ტრენინგი – 5 ქ.

11. **სპორტული მიღწევები** (სამივე ასაკობრივი ჯგუფი):
   11.1. მსოფლიო მასშტაბით – 30 ქ;
   იგულისხმება ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები.
   11.2. საქართველოს მასშტაბით – 15 ქ.
   იგულისხმება საქართველოს ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები.

12. **სპორტულ ღონისძიებებში მსაჯის რანგში მონაწილეობა** (ბოლო 5 წლის განმავლობაში)**:**
   12.1. საზღვარგარეთ მსაჯობა – 30 ქ;
   12.2. საქართველოს მასშტაბით მსაჯობა – 15 ქ;

13. **სპორტულ ღონისძიებებში მწვრთნელის რანგში მონაწილეობა** (ბოლო 5 წლის განმავლობაში)**:**
   13.1. საზღვარგარეთ მწვრთნელის რანგში ყოფნა – 30 ქ;
   13.2. საქართველოში მწვრთნელის რანგში ყოფნა – 15 ქ;

შენიშვნა: მე-11 პარაგრაფში ქულები ჯამდება ერთჯერადად და მაქსიმუმ იწერება 45 ქულა (30+15), იგივე ითქმის მე-12 პარაგრაფსა (მაქს. 45 ქ.) და მე-13 პარაგრაფებზე (მაქს 45 ქ.).

- აუცილებელია სპორტული მიღწევის დამადასტურებელია შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა;
- აუცილებელია სპორტულ ღონისძიებებში მსაჯის ან მწვრთნელის რანგში ყოფნის დამადასტურებელია შესაბამისი ფედერაციიდან (პრეზიდენტისგან) წერილის წარმოდგენა.

შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს:

- **პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი – მინიმუმ 180 ქულას**
  - ✓ ასევე აუცილებელია, პირს გააჩნდეს დოქტორის აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი და ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

- **ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი – მინიმუმ 120 ქულას**
  - ✓ ასევე აუცილებელია, პირს გააჩნდეს დოქტორის აკადემიური (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი და ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- **ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი – მინიმუმ 80 ქულას.**

შენიშვნა:

1. ყოველი გამოქვეყნებული სტატია/სახელმძღვანელო, რომელსაც კონკურსანტი წარმოადგენს, უნდა შეესაბამებოდეს საკონკურსოდ გამოცხადებულ მიმართულებას (საგანს).
2. როგორც სტატიის ისე სახელმძღვანელოს შემთხვევაში, ქულები არ იყოფა.
3. მე-11-13 პარაგრაფები ეხება მხოლოდ სპორტული დისციპლინების წარმომადგენელ კონკურსანტებს.
4. კონკურსანტის ყოველი მონაცემი სათანადო დოკუმენტაციით, საბუთით უნდა იყოს დამტკიცებულ-დადასტურებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონკურსო კომისია შეფასების, ქულის გარეშე დატოვებს კონკურსანტის დაუსაბუთებელ მონაცემებს.

აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის **დამატებითი კრიტერიუმებია**:

ა). ციტირების ინდექსის სიდიდე Scopus-ში;

გ) ინგლისური ენის ცოდნა.

აღნიშნული დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში იმ შემთხვევაში მიიღება, თუ ძირითადი საკონკურსო კრიტერიუმებით გასული კონკურსანტების რაოდენობა მეტი იქნება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობაზე და ისინი დააგროვებენ თანაბარ ქულებს.

კონკურსანტმა საკონკურსო საბუთებში შეუძლია წარმოადგინოს მისი ისეთი აკადემიური/პრაქტიკული აქტივობაც, რომელიც არ არის აღნიშნული წინამდებარე დოკუმენტში. საბოლოოდ, საკონკურსო კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას, ამგვარ აქტივობას რამდენი ქულა დაარიცხოს.